ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მუნიციპალური და საქალაქთაშორისო (ავტობუსი, მიკროავტობუსი) ტრანსპორტისთვის

ზოგადი რეკომენდაციები:

- საზოგადოებრივ სატრანსპორტო საშუალებებში, არ დაუშვათ მომხმარებელი ნიღბის გარეშე;
- უსაფრთხო დისტანციის დასაცავად აკონტროლეთ მომხმარებელთა ნაკადი (მოსაცდელში, მეტროს სალაროსთან). გამოიყენეთ სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით);
- დასაქმებულები უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
  - ნიღბით;
  - პირბადე და დამცავი ფარი - საჭიროების შესაბამისად;
- მეტროსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებში განხორციელდეს ხშირად შეხებადი ზედაპირებისა (ღილაკების, კარების სახელურების და სხვა ხშირად შეხებადი ზედაპირების) დამუშავება შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- **აკრძალულია მიკროავტობუსებში მგზავრთა ფეხზე დგომა.**

შენიშვნა: ამ წესის ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, უსაფრთხო დისტანციის დაცვისა და მომხმარებელთა ნაკადის კონტროლისთვის მოეწყოს სავალდებულო პირობითი ნიშნები.

ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში:

- მძღოლის კაბინასთან, მძღოლსა და მგზავრებისგან დისტანცირების უზრუნველსაყოფად უნდა მოეწყოს ბარიერი (გარდა მიკროავტობუსებისა);
- ავტოტრანსპორტის დასუფთავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სავარძლების თავის საყრდენი მოწყობილობისა და სავარძლების სამკლაურების (ხელის დასასვენებელი ადგილი) დამუშავებას;
- მუდმივად განიავდეს სამგზავრო სალონი ღია ფანჯრებით;
- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-123/ო ბრძანების „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ სათანადო დანართის შესაბამისად.

მეტროში:

- ყოველდღიურად მოხდეს ესკალატორების სახელურების და სხვა ხშირად გამოყენებული ზედაპირების სველი წესით დამუშავება სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერით;

StopCoV.ge 1505 116 001

- უზრუნველყავით სანიტარიული კვანძების დალაგება და დეზინფექცია დაბინძურების შესაბამისად;
- ინფექციის რისკის შემცირების მიზნით, უზრუნველყავით მომხმარებელთა ინფორმირებულობა კორონავირუსის გავრცელების პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ (შესაძლებელია აუდიო/ვიდეო ტექნიკის გამოყენება);
- მეტროში დასაქმებული, დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პერსონალი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აღჭურვეთ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:

- ნიღაბი;
- ხელთათმანი;
- სახის დამცავი ფარი;
- სპეცტანსაცმელი;

- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-123/ო ბრძანების ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" სათანადო დანართის შესაბამისად.

დასაქმებულთა და მგზავრთა ვალდებულებები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.

შესაბამისად, აუცილებელია განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- სამუშაოების შესრულებისას საჭიროების შემთხვევაშ გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ 60-70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 116 001

StopCoV.ge 1505 116 001